

ივანე ჯავახიშვილი-პირველი უნივერსიტეტის დამაარსებელი

ლეილა სხირტლაძე - „მაშა477“

წარსულიდან მოყოლებული დღემდე უნივერსიტეტი მნიშვნელოვან დასაყრდენად იქცა.ის განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების დონეს,სწორედ უნივერსიტეტში ვლინდება ყველაზე კარგად ეპოქის შემეცნება.მასში მოღვაწე ადამიანთა პროფესია,უპირველესად, „ჭეშმარიტების ძიებაა ჭეშმარიტებისავე სახელით“ (<http://www.socium.ge/index.php/articles/education/60-2012-08-07-20-16-19>) და გულისხმობს, როგორც მეცნიერთა მიღწევებს,ისე უნივერსიტეტში მოსულ ადამიანთა აზროვნების წესის შემუშავებას,რომელიც სასურველ შედეგს გამოიღებს პროფესიული ცოდნის შემდგომი გამოყენების საქმეში.ეს არის ადამიანის სწრაფვა ჭეშმარიტების უსასრულო ძიებისაკენ,ნებისმიერ პირობებში,რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი თვითშემეცნება.

როგორც ცნობილია,განათლება ყველაზე მყარი კაპიტალია,რომელიც „არც ცხადით ძალით წაირთვის,არც ძალვით მოიპარების“(გურამიშვილი-„სწავლა მოსწავლეთა“).იგი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სავალი გზის ყველაზე საიმედო გასაღებია და ყველაზე ბასრი იარაღიც.ივანე ჯავახიშვილმა გადაწყვიტა ქართველი ხალხისათვის მთავარი იარაღი მიეცა ხელთ.1918 წელს,დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი-ტფილისის უნივერსიტეტი,რომელმაც ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით,საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

ალბათ,ძნელი წარმოსადგენი არაა,რამდენი სიმძნელის გადალახვა მოუწევდა მას,სანამ საქართველოში პირველ უნივერსიტეტს დააარსებდა.მითუმეტეს თუ გავიხსენებთ რა პერიოდს ემთხვევა მისი მოღვაწეობა: გამწვავებული იყო ეროვნული ჩაგვრა,ცარიზმის აღებული ჰქონდა გეზი იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების გარუსებისაკენ,ყოველ მხრივ ავიწროებდა მათ ენებსა და კულტურას და ცდილობდა საბოლოოდ განედევნა ისინი საზოგადოებრივი ასპარეზიდან,საქართველოში კი ჩაეხშო ყოველივე ეროვნული, ქართული. ასეთ ვითარებაში ივანე ჯავახიშვილმა,თვითონ ერთ-ერთი თავადის სახლის შვილმა,შეძლო საძირკველი ჩაეყარა ქართული ეროვნული უნივერსიტეტისთვის,რაც მაშინ ქართველი ერის თვითმყოფადობის გადარჩენის ტოლფასი იყო.უნივერსიტეტის შექმნისათვის აქტიური მუშაობა ჯავახიშვილმა ადრე დაიწყო.1907 წელს,პეტერბურგში,მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე,რომლის საქმიანობაც მრავალი მხრით ქართული მეცნიერების აღორძინებისა და მომავალი ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის პირობების მომზადებას ემსახურებოდა.ამ წრეში მოხსენებები იწერებოდა და იკითხებოდა ქართულად,მსჯელობაც ქართულად წარმოებდა.დღეს ეს შეიძლება ბევრს არაფრად მოეჩვენოს, მაგრამ იმ პირობებში ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამით მუშავდებოდა ჩვევები ქართულ ენაზე მეცნიერული მეტყველებისა: „ახალგაზრდობამ, — ამბობდა შემდეგ ივანე ჯავახიშვილი, — აქ ენა გაიკვეთა და მოიპოვა უნარი მეტყველებისა, რომელიც მანამდე არ ჰქონდა“ (<http://www.amsi.ge/istoria/ij/qe1/cx.html>).

ვფიქრობ, მხოლოდ განათლება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ რაიმე დიდებული შექმნა. განათლებასთან ერთად აუცილებელია პიროვნული თვისებები, ურყევი პრინციპები და მაღალი ღირებულებები. მის ხასიათს ნათლად წარმოაჩენს სტალინთან შეხვედრის ფაქტი: „როდესაც მოსკოვს წასულს უთხრეს, სტალინს შენთან შეხვედრა უნდაო, მასთან აუდიენციისთვის სატელეფონო ზარს მხოლოდ რამდენიმე დღე დალოდებია, შემდეგ კი უთქვამს, საქმე მაქვს, საქართველოში უნდა წავიდეო.“ ივანე ჯავახიშვილის, ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, ისტორიკოსის, მრავალმხრივ განვითარებული და უბადლო ინტელექტის მქონე ადამიანის ღვაწლი, დღესაც განსაზღვრავს უნივერსიტეტის დიდებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, ივანე ჯავახიშვილის 135 წლისთავისადმი მიძღვნილი;
2. ივანე ჯავახიშვილი - „ბურუსი“ - <https://burusi.wordpress.com/history/ivane-javakhishvili/>;
3. ე. ლილუაშვილი, დისერტაცია - „ივანე ჯავახიშვილის შესახებ“;
4. <http://www.socium.ge/index.php/articles/education/60-2012-08-07-20-16-19>;
5. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=1854;
6. <http://www.amsi.ge/istoria/ij/qe1/cx.html>.